ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში "ხელშეკრულების") შესაბამისად, სს "თიბისი ბანკი" გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების (დამატებების) შეტანას:

<u>ხელშეკრულებას დაემატოს 7.10.6 ქვეპუნქტი, ხოლო ხელშეკრულების 15.5.5 ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

7.10.6 კლიენტისთვის ეფექტური და სწრაფი საბანკო მომსახურების გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად აუცილებელი კლიენტის პერსონალური მონაცემები საჭირო მოცულობით გადასცეს შესაბამისი რეპუტაციის მქონე კვლევით კომპანიებს, რომლებიც თავის მხრივ კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა.

15.5.5 ბანკი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეცვალოს მოთხოვნამდე ანაბრის საპროცენტო სარგებლის დარიცხვის მეთოდი, რის შესახებაც ბანკი, მეანაბრის ინფორმირებას უზრუნველყოფს ცვლილებამდე 1 (ერთი) თვით ადრე ფილიალებისა და სერვისცენტრების ოფისებში ან ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge შესაბამისი ინფორმაციის განთავსების მეშვეობით, ხოლო საპროცენტო სარგებლის განაკვეთის ბანკის მიერ ცალმხრივად ცვლილების შემთხვევაში, კლიენტის ინფორმირება განხორციელდება 1 (ერთი) თვით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინების მიწოდებით.